"Meanwhile works are being conducted in terms of identifying other priorities and planning related future projects."

"TBC Fund is in constant cooperation with government organizations and NGOs in respect to casualty issues. The problems beyond the existing and planned projects are being sought, analyzed and formed as complex long-term projects."

As for the current second phase, the fund has highlighted and worked out three main long-term projects:

The IDP Pregnant Women and Baby Assistance Project

(Budget — GEL 1,500,000; 1,200 IDPs registered, pregnancy monthly assistance, baby monthly assistance up to 1 year, single labouring assistance)

"The Ministry of Labour, Health and Social Defence of Georgia, along with other issues, provides free medical service



to the pregnant IDPs. International and local NGOs are also actively involved in settling healthcare issues, food and shelter supply."

"Still though, the casualties are suffering from financial shortage to meet even elementary needs left beyond the existing programmes. That's the very goal of our project – to meet that lack of finances (to fill the gap). Funds, local and international NGOs complement one another; we are doing our best to assist the casualties through our coordinated work."

Tserovani School Construction

(Budget – USD 2,400,000: Completion date – September, 2009; 6,000 sq.m building, capacity – 2,000 pupils).

"We trusted the school construction to the specially selected

განხორციელება."

დღეისთვის, ფონდმა გამოკვეთა და მუშაობს სამ ძირითად გრძელვადიან პროექტზე:

— **დევნილი ორსული ქალების და მათი ახალშობილების დახმარების პროექტი.** (ბიუჯეტია 1 500 000 ლარი, რეგისტრირებულია 1200 დევნილი. მათთვის გამიზნულია ყოველთვიური დახმარება ორსულობისას, ყოველთვიური დახმარება ახალშობილისთვის 1 წლის ასაკამდე და ერთჯერადი დახმარება ბავშვის დაბადებისას)

„როგორც ცნობილია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სხვა მრავალ საკითხთან ერთად უზრუნველყოფს დევნილი ორსული ქალების უფასო სამედიცინო მომსახურებას. საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც აქტიურად არიან დაკავებულნი მათთვის ჯანდაცვის საკითხების მოგვარებით, საკვებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების მიწოდებით."

„მიუხედავად ამისა, დაზარალებულები განიცდიან ფულადი სახსრების უქონლობას, პროგრამებით გაუთვალისწინებელი ელემენტარული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამ დანაკლისის შევსებისკენ არის მიმართული ჩვენი პროექტი. ფონდები, სამთავრობო, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ვავსებთ ერთმანეთს და ვცდილობთ კოორდინირებულად დავეხმაროთ დაზარალებულებს."

— **წეროვანში დევნილებისთვის სკოლის მშენებლობა.** (ბიუჯეტი – 2 400 000 დოლარის ექვივალენტი, სრულდება 2009 წლის სექტემბრისთვის, 6 000 კვმ შენობა, 2 000 მოსწავლისთვის)

„სკოლის მშენებლობა საგანგებოდ შერჩეულ „ახალი სამშენებლო კომპანია"-ს ვანდეთ, რომელიც 2009 წლის სექტემბრისთვის სასწავლო პროცესის დასაწყებად სრულიად დასრულებულ სკოლას ჩაგვაბარებს. ამ პროექტისთვის საჭირო თანხა ფონდში არსებობს და სამშენებლო კომპანიას ანაზღაურება ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით ჩაერიცხება. მიუხედავად იმისა, რომ

New Construction Company (NCC), which will deliver the fully completed building by the beginning of the new school season-September 2009. TBC Fund has the finances needed for the school construction and NCC will be paid the due amount divided into several phases in accordance with the work done. Though we have winter ahead, the construction pace gives us the argument to claim that the school will be ready for opening on time and no doubts have been raised in respect to the project's success."

The fund initiative of the long-term trusteeship of two children (on Guardianship over Two Physically Injured Children as a Result of Hostilities) (up to full age)

(Budget – GEL 80,000: settling medical issues, monthly assistance, banking account till full age for further educational means).

"TBC Fund is in charge of the children's healthcare, monthly assistance and particular banking account (for educational means) till reaching adulthood.

TBC Fund, like the rest of Georgia, became aware of the two children's cases through the media. Both of them were in dire need of help. Initially, the fund provided the children with singular emergency first aid assistance.

"Soon after, following thorough investigation of the children's family and physical situation, it became clear that the only way to manage their problems was to launch a long-term project and so they were put under guardianship"

TBC Fund is not alone in giving the children assistance.

One of the children, under the TBC Fund guardianship, has a damaged eye and is being cured at Gia Javrishvili's eye clinic under the close supervision of Mr.Javrishvili and Mrs. Ketevan Mamamtavrishvili. Supposedly, in the spring the child will undergo free surgery.

The other child lost his mother during the Gori bombing, and he himself got seriously damaged by the same explosion. The child, left with only an elderly grandmother to care for him, underwent serious free surgery at Jvania's clinic. At this point, the child's foot functionality issues are being taken care of at the Kaufbeuern surgery clinic, Germany. He's lucky to be going through this free treatment course in Germany, thanks to efforts made by our compatriot Giorgi Grigolia. The rest of the expenses are being covered by the Fund.

"I'll be more than glad if TBC Fund, together with the whole of Georgia, reaches its goal by fully solving the issues of all the casualties of last August's events and sees no necessity in further functioning."

წინ ზამთარი გველის, მშენებლების მიერ დღეისთვის აღებული მშენებლობის ტემპისა და ხარისხის გათვალისწინებით, პროექტის წარმატებულობა არანაირ ეჭვს არ იწვევს."

**— ფონდის მიერ საომარი მოქმედებების შედეგად ფიზიკურად დაზარალებულ ორ ბავშვზე გრძელვადიანი მეურვეობის (სრულწლოვან ასაკამდე) პროექტის ინიციატივა.**

(ბიუჯეტი 80 000 ლარი, სამედიცინო პრობლემების მოგვარება, ყოველთვიური დახმარება, ანაბარი სრულწლოვანებამდე შემდგომში განათლების მისაღებად)

„თიბისი ფონდი" ზრუნავს ამ ბავშვების ჯანმრთელობაზე, უზრუნველყოფს მათ ყოველთვიურ დახმარებას სრულწლოვანებამდე და გარკვეულ ანაბარს – განათლების მისაღებად."

„თიბისი ფონდმა", ისევე როგორც მთელმა საქართველომ, ამ ბავშვების შესახებ მასმედიის საშუალებებით შეიტყო. ორივეს აუცილებელი დახმარება სჭირდებოდა. პირველ ეტაპზე მათ ფონდმა ერთჯერადი დახმარება გაუწია გადაუდებელი პრობლემების მოსაგვარებლად.

„მალევე ბავშვების ოჯახური თუ ფიზიკური მდგომარეობის შესწავლამ გვაჩვენა, რომ მათი პრობლემების მოგვარება მხოლოდ გრძელვადიანი პროექტის ფარგლებში იყო შესაძლებელი და მათზე მეურვეობა დაწესდა."

ბავშვებზე ზრუნვის საქმეში „თიბისი ფონდი" მარტო არ არის.

ფონდის მეურვეობის ქვეშ მყოფ ერთ-ერთ ბავშვს თვალი აქვს დაზიანებული და ბ-ნ გია ჯავრიშვილის კლინიკაში, ბ-ნ გიასა და ქალბატონ ქეთევან მამამთავრიშვილის დაკვირვების ქვეშ იმყოფება. სავარაუდოდ გაზაფხულზე ბავშვს უსასყიდლო ოპერაცია ჩაუტარდება.

„თიბისი ფონდის" მეურვეობის ქვეშ მყოფ მეორე არასრულწლოვანს, გორის დაბომბვისას დაეღუპა დედა, თავად კი ჭურვის ნამსხვრევით სერიოზულად დაუზიანდა ფეხი. პენსიონერი ბებიის ანაბარად დარჩენილ ბავშვს, ჟვანიას სახელობის კლინიკაში უსასყიდლოდ სერიოზული ოპერაცია ჩაუტარდა. ახლა ბავშვი ფეხის სრული ფუნქციონირების აღსადგენად კაუფბაუერნის ქირურგიულ კლინიკაში იმყოფება. ეს პაციენტი, ჩვენი თანამემამულის, ბ-ნ გიორგი გრიგოლიას ძალისხმევით გადის უფასო მკურნალობის კურსს გერმანიაში, ხოლო სხვა დანარჩენ ხარჯს „თიბისი ფონდი" ფარავს.

„მოხარულები ვიქნებით, თუ „თიბისი ფონდი" მთელ საქართველოსთან ერთად სრულად მიაღწევს მიზანს, მოაგვარებს დაზარალებულების პრობლემებს და მისი არსებობის საჭიროება აღარ იქნება."